

ს აქართველო

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2018 წლის 25 ივლისის სხდომის

ოქმი N17

## ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 17

ქ. ხონი

25 ივლისი, 2018 წელი

2018 წლის 25 ივლისს საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვალერი ბახტაძე. სხდომას საკრებულოს 28 წევრიდან ესწრებოდა: კობა კუბლაშვილი, არსენ ბენდელიანი, ნანა ბახტაძე, ჯუნგლი გოდერიძე, ალიკო ვეკუა, ზაზა რუხაძე, ზაზა ვაშაკიძე, ზურაბ ჯიბუხაია, სერგო ჯალაღანია, მაკა ტაბიძე, ოლეგი ვაჭარაძე, ტარიელ ბარაბაძე, ლია ლაჭავა, თამაზი ცაგარეიშვილი, ია სულუხია, ნაზიბროლა გეგია.

სხდომა დაიწყო: 12 საათზე.

სხდომა დასრულდა: 13 საათზე.

### დღის წესრიგი:

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სამოქმედო პროგრამის მოწონების შესახებ.  
მომხსენებელი: ილია ყუფარაძე - მერიის სივრცით მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა არქიტექტურის სამსახურის უფროსი.
2. ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.  
მომხსენებელი: მაია კალანდაძე - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი.

საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე \_\_ 17

წინააღმდეგი\_\_არცერთი

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სამოქმედო პროგრამის მოწონების შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო და მოხსენებით წარსდგა ილია ყუფარაძე მერიის სივრცით მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

დეპუტატების მიერ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი შენიშვნები:

ადმინისტრაციული წარმოება, რაც ნიშნავს უნდა გქონდეთ ზეპირი მოსმენის ოქმი, რომ მიწის გაიჯარება ან სხვა რამ არ აზარალებს მესამე პირს. თუ ეს ყველაფერი გავლილი გაქვთ მაშინ პრობლემა არ შეგექმნებათ, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გაგიუქმებთ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

მაია კალანდაძემ უპასუხა აღნიშნულ მოსაზრებას, რომ ყველა საკითხი წყდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს: ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 1 - სერგო ჯალაღანია

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვლისწინებული საკითხის ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:  ვალერი ბახტაძე  


სხდომის მდივანი: გ. გორგაძე მაია ბობოხიძე